ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3632367

ნომერი: AR1546341

თარიღი : 03.10.2017

გაცემის თარიღი : 24.10.2017

გაცნობის თარიღი : 26.10.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ აბაშიძე პ/ნ 01013013021
- თბილისი ად.მიცკევიჩის ქ. N 20 ბ. 29

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმა

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

თქვენი 2017 წლის 3 ოქტომბრის AR1546341 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ საკითხი განხილულ ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ სხდომაზე, სადაც მიეცა დადებითი შეფასება შემდეგი რეკომენდაციებით:

- მოცულობით გადაწყვეტა შესაცვლელია,წითელი ხაზების კორექტირება შესაძლებელია;
- რეგისტრაციის ცვლილება მისაღებია.მოცულობით გადაწყვეტა საჭიროებს შეცვლას;
- მოცულობით გადაწყვეტა შესაცვლელია. შესაძლებელია წითელი ხაზების კორექტირება;
- სასურველია მოცულობის და სიმაღლის შემცირება;
- მიუღებელია მოცულობით გადაწყვეტა.რეგისტრაციის ცვლილება მისაღებია;
- მოცულობით-გეგმარებით გადაწყვეტა უნდა იყოს მაქსიუმალურად მსუბუქი, რეკრეაციულ სივრცეს მორგებული, პავილიონის ტიპის ნაგებობებით.რეგისტრაციის ცვლილება მისაღებია;
- მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილება შესაძლებელია, მოცულობითი გადაწყვეტა უნდა მოვიდეს გრგ-ს დავალებასთან შესაბამისობაში;
- რეგისტრაციის ცვლილება მისაღებია. სასურველია მოცულობის შემცირება , სიმაღლის მაჩვენებლების მკვეთრი შემცირება;

იმისათვის, რომ არქიტექტურის სამსახურს მიეცეს შესაძლებლობა საკითხი შემდგომი განხილვისთვის გადააგზავნოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საჭიროა გათვალისწინებული იქნეს საბჭოზე მიღებული რეკომენდაციები ამასთან გამოსასწორებელია შემდეგი ხარვეზები:
საერთო სახის შენიშვნები:
1. გათვალისწინებულ იქნეს თქვენივე AR1535337 უარით დასრულებულ განაცხადთან დაკავშირებით 31 აგვისტოს საბჭოზე გამოთქმული შენიშვნები/რეკომენდაციები:

- განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი არ შეესაბამება გაცემული დავალებას. წარმოსადგენია ქონების მართვის თანხმობა.
- მიურებელია წარმოდგენილი სახით ტერიტორიის განვითარება. შენარჩუნებულ იყოს სარეკრეაციო არეალი შესაბამისი ზონით.
- პროექტი მოვიდეს გრგ-ს დავალებასთან შესაბამისობაში.
- ხე-ნარგავების არეალში უნდა შენარჩუნდეს რზ-1-ის ფარგლებში. რთული საკვანძო სატრანსპორტო არეალია, რომელიც მოიცავს არსებულ კომუნიკაციებს. მათ მიმართ უნდა დაცულ იქნეს შესაბამისი გასხვისების არეალი
- გრგ-ს პროექტი მოვიდეს შესაბამისობაში გრგ-ს დავალებასთან. წარმოსადგენია ქონების თანხმობა
- წარმოსადგენია ქონების თანხმობა. გრგ მოვიდეს შესაბამისობაში დავალებასთან.
- უნდა შენარჩუნდეს რზ-2 სტატუსი ხე ნარგავების არეალში.

2. გთხოვთ, გაითვალისწინოთ 01.11.17.001.151 საკადასტრო გეგმაზე დატანილი შეზღუდვა საკანალიზაციო ზოლი (არხი) და წარმოადგინოთ თანხმობა შესაბამისი სამსახურიდან.
3. დაცული იქნეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციებიდან და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ნაგებობებიდან საპროექტო ნაგებობის განთავსების ნორმები ხოლო მათი გატანის აუცილებლობის საკითხი შეთანხმდეს შესაბამის მფლობელებთან;
4. წარმოადგინეთ ნაკვეთებზე შენობათა განთავსების სქემა იმგვარად, რომ საპროექტო შენობა-ნაგებობათა განთავსების არეალები არ ემთხვეოდეს ხე-ნარგავების განთავსების არეალს; ამასთან დაიტანეთ არსებული ხე-ნარგავების სასიცოცხლო უნარების შენარჩუნებისთვის აუცილებელი გასხვისების არეალები.
5. გარდა ამისა, დანართის სახით გიგზავნით გრგ ალბომის შემადგენლობასა და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. <u>გთხოვთ, გრგ პროექტი მოიყვანოთ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში.</u>

შესწორებული კორექტირებული პროექტი უნდა აიტვირთოს http://tas.ge/–ზე ამავე განაცხადის დახარვეზებულ ან, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ველში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან;
თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო ანმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან

უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია;
თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა;
თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება;
თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ;
განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის/ან სხვა ინფორმაციის წარმოსადგენად გეძლევათ 30 დღე.
გაითვალისწინეთ, რომ დადგენილ ვადაში დოკუმენტაციის/ან სხვა ინფორმაციის წარმოუდგენლობის ან არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

-

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.